საკრებულოს იურიდიულ

საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. თერჯოლა 3.02.2026 წ

ან. ჭანტურიძის ქ.№7

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ბიძინა ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ბიძინა ბუცხრიკიძე; 2. ლაშა ლანჩავა; 3. ნინო ოქრუაძე; 4. ერეკლე კირკიტაძე; 5. გიორგი ბარათაშვილი; 6. ჯემალ ისაკაძე; 7. გიორგი თურქაძე; 8. ეკა ბერძენიშვილი; 9. იუზა უგრეხელიძე; 10. ვლადიმერ მაკარიძე.

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგ ყაზაიშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში - ფიქრია ბუსკივაძე.

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი

კვორუმი: 6 წევრი

დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 10

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად</u>

სხდომის თავმჯდომარემ - ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხ: ბ. ბუცხრიკიძე

2. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხ: ბ. ბუცხრიკიძე

3. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხ: ბ. ბუცხრიკიძე

4. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხ: ბ. ბუცხრიკიძე

5. „წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების , წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს: ნ. ოქრუაძე;

თანამომხ: ბ. ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი - არცერთი

<u>დღის წერიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1. მოისმინეს: მომხსენებელმა - იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო. დღის წერიგით გათვალისწინებული პირველი ორი საკითხი: 1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. 2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ." აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს და საჭიროებს გასწორებას. რაც შეეხება ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ." საკითხს - წინამდებარე ცვლილების მიზანია მერიის დებულებაში სამართლებრივი რეგულირების დახვეწა და ადმინისტრაციული პროცესების გამარტივება.

ცვლილების არსი:

1. მერის პირველი მოადგილისა და მოადგილის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხი წესრიგდება „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, რომლის სახელწოდება კანონში შეტანილი ცვლილებით შეიცვალა.

2. დადგენილებაში რეგისტრირდება მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის ფაქტი.

3. მერის წარმომადგენელს გაუუქმდა ბეჭდის სარგებლობის უფლება.

4. ორგანულ კანონში ცვლილებიდან გამომდინარე, უფლებამოსილება გადავიდა საჯარო რეესტრის ფუნქციებში, რის გამოც დებულებაში დარჩენილი ჩანაწერი მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით გაუქმდა.

5. ორგანულ კანონში ცვლილების გათვალისწინებით, დებულებიდან გაუქმებულია გენდერის ფუნქცია.

შესრულებული ცვლილებები უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესების გამარტივებას, მერიის საქმიანობის გამჭვირვალობას და უფლებამოსილების მკაფიო განაწილებას.

ცვლილება შევიდა ასევე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №8 დადგენილების დანართში და მე-11 მუხლი ამოღებულ იქნა დანართიდან.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა,,**წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების , წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და**

ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის N44 დადგენილებაში. კერძოდ, წინამდებარე დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზანია, სპორტის სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და უმაღლესი სპორტული მიღწევების მქონე სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისების მექანიზმის დადგენა. ცვლილების შესაბამისად, დადგენილებას ემატება ნორმები, რომლებიც მოიცავს საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღიარებულ, როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ტურნირებზე ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის სახელით მონაწილე 14–25 წლის ასაკის (თერჯოლის მუნიციპალიტეტში ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგისტრირებული) ახალგაზრდა სპორტსმენებს, რომლებმაც აღნიშნულ ტურნირებზე დაიკავეს I, II ან III ადგილი. ამასთანავე, ცვლილება ვრცელდება სპორტის სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და უმაღლესი სპორტული მიღწევების მქონე, თერჯოლის მუნიციპალიტეტში ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგისტრირებულ მწვრთნელებსა და სპორტის სპეციალისტებზე, რომლებიც საქმიანობას ეწევიან ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის სახელით. დადგენილებით განისაზღვრება, რომ სპორტის სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და უმაღლესი სპორტული მიღწევებისთვის სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოებაზე წელიწადში ერთჯერადად თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერითვის წარდგენას უზრუნველყოფს ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დირექტორი. აღნიშნული ცვლილებები ემსახურება სპორტული მიღწევების დაფასებას, ნიჭიერი ახალგაზრდებისა და კვალიფიციური კადრების მოტივაციის ზრდას, ასევე თერჯოლის მუნიციპალიტეტში სპორტის სისტემურ განვითარებას.

აღნიშნული დადგენილებების პროექტებთან დაკავშირებით:

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტებს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი: არცერთი

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას.

იურიდიულ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე - ბიძინა ბუცხრიკიძე